

მე და ჩემი მეფე ერეკლე

მასწავლებლის მონათხრობი შთამბეჭდავი იყო. მთელი დღე მიტრიალებდა გონებაში „წერილი მეფე ერეკლესი, თეკლა ბატონიშვილისადმი მიძღვნილი“. სხვაზე ველარაფერზე ვფიქრობდი. რამდენჯერმე გადავაკვლე თვალი და კითხვა გამიჩნდა: ნეტავ რა უპასუხა თეკლამ?!

თითქოს დროში დავიკარგე.....ხილვა და ნისლი ერთად აირია..... მილ-ბურანში ცხადად ვხედავდი- მე ვიყავი თეკლა ბატონიშვილი.

ბატონიშვილის სასახლის პალატებიდან გამოვედი, ბიბლიოთეკაში შევედი და მამის კალამი ხელში ავიღე. მონატრება, სევდა და იმედი ერთდ მომეძალა.

მამავ - ბატონო!

თვალწინ მიდგას თქვენი თეთრი ტაიჭი, წასვლისას უზანგში ფეხშეუდგმელად რომ მოახტით უნაგირს. მერე თქვენი წერილი მივიღე, სითბოთი და სიყვარულით სავსე.

მადლობელი ვარ ძღვენისთვისაც. ბროწეული და შაქარ-ყინული მეგობრებს გავუნაწილე.

მაინც გემდურით, რადგან ლაშქრობაში მე არ მიახლეთ თან. ნუთუ ეჭვი გეპარებათ ჩემს „ბიჭობაში“?! აბა თეკლა-ბიჭი ტყუილად შემარქვით?! რომ დაბრუნდებით, ნადიმი გავმართოთ და მერიქიფობას კვლავ მე გაგიწევთ. ვთვლი, რომ ყველა დიდებულს, ვისაც ქვეყნის სიყვარულით უძგერს გული, ვალი აქვს სამშობლოს წინაშე.

განა ისევ ისეთია საქართველო, თქვენ რომ დატოვეთ?! ბევრი ტერიტორია დავკარგეთ, აფხაზეთი აღარ გვეკუთვნის, დავით-გარეჯს გვეცილებიან. ჩრდილოეთიდან გვავიწროებენ. ევროკავშირის წევრობა გვინდა, მაგრამ ხელისშემშლელიც ბევრია. როცა დაბრუნდები, სხვა დიდებულებთან ერთად გადავწყვიტოთ როგორ მოვიქცეთ. ხომ იცით, ყოველთვის ჩემი იმედი უნდა გქონდეთ... მახსოვს ყოველი თქვენი სიტყვა, დარიგება... „ბიჭურ“ პირობას გაძღვეთ რომ არ დაგაღალატებთ. ყოველთვის თქვენ გვერდით მიგულეთ.

ჩემი და-ძმა, თქვენი შვილები, იმედიანი თვალთ გავეყურებთ მომავალს. დედა-დედოფალი მოუთმენლად ელოდება თქვენს გამოჩენას. დრო ძალიან მალე გადის, მაგრამ ამ ლოდინში თურმე 300 წელი გასულა.

მდიდრები არც ახლა იშლიან თავიანთსას. თქვენი ხელი აკლია ქვეყანას...

ახლაც ეპიდემია მძვინვარებს ისევე, როგორც მაშინ, როცა თქვენ უკანასკნელ გზაზე გაგაცილეთ. ხალხი პანიკაშია. ყველას ეშინია, მაგრამ გპირდებით, ჩვენ ვერაფერი შეგვაშინებს.

გემშვიდობებით მამავ-ბატონო!

ახლაც ვერ გაარჩევთ ჩემს ნაწერს?!

მეც მენატრებით, მეც მიყვარხართ და მეიმედებით!

მხოლოდ თქვენნაირი სულისკვეთების მქონე ადამიანები თუ გადაარჩენენ ჩემს ქვეყანას!

საქართველო გადასარჩენია!

იქნებ თქვენი ლოცვა-კურთხევა შეგვეწიოს?!

მე კი ყოველ დღე ვლოცულობ...თქვენ რომ მაჩუქეთ, იმ ფსალმუნებს ვკითხულობ...და ველოდები ჩემს სამშობლოში მზეს...უამრავი ქვეყანა აღიგავა პირისაგან მიწისა და ჩვენ გადავრჩით...„მადლი, წყალობა და მშვიდობა“ ჩვენს საქართველოს!

უდიდესი სიყვარულით, თქვენი თეკლა-ბიჭი!

სსიპ მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ნიჩბისის საჯარო სკოლის VII კლასის მოსწავლე-
ნინი ქიტუაშვილი, 12 წლის